# 11 ოქტომბერს არჩევნებია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 41 (6535) 8 ოქტომბერი ხუთშაბათი 1992 წელი

## ეროვნული ინტერესებისათვის

ამას წინათ რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებს და აქტივს შეხვდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი, საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი № 6 მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიით ვანო ხუხუნაიშვილი.

მან ილაპარაკა საქართველოში არსებულ დღევანდელ მდგომარეობაზე, აღნიშნა, რომ როდესაც აფხაზეთში სისხლი იღვრება, როდესაც გარეშე და შინაური მტერი ერთბაშად უტევს საქართველოს, როდესაც ქვეყანა ღრმა ეკონომიკურ კრიზისში იმყოფება, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არავის და არაფერს არ დაერიდება საქართველოს გადასარჩენად, რამეთუ ეროვნული ინტერესები ყველაფერზე მაღლა დგას.

არჩევნები უნდა ჩატარდეს, აღნიშნა ვ. ხახუნაიშვილმა. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც არჩევნებში მონაწილეობს, გამოხატავდა და კვლავაც გამოხატავს ქართველი ხალხის ნებას.

## ყოფნა - არყოფნის ზღვარზე...

ეს მერამდენედ უკუღმა დატრიალდა ჩვენი ბედის ბორბალი. უკვე მერამდენედ დგას საქართველო ყოფნა-არყოფნის სასწორზე. ეს მერამდენედ გვემუქრება შავბედი დრო..

...და მერამდენედ ვერ დავხვდით მზად მოძალებულ უბედურებას.

ახლა მაინც გავუსწოროთ თვალი საშინელ სიმართლეს—ჩვენ ვერ მოვუარეთ საქართველოს! ვერ მოვუარეთ, რადგან დავკარგეთ ყველაზე მთავარი თვისება ერისა—პასუხისმგებლობა მამულის წინაშე; გავთითოკაცდით, დავიბენით, საკუთარ ნაჭუჭში ჩავიკეტეთ, ღმერთზე და სინდისზე უარი ვთქვით, ზნეობა საქილიკო საგნად გავიხადეთ და ახლა გვიკვირს, მტერმა და დუშმანმა რატომ ჩაგვაფურთხა სულში.

პოლიტიკოსებმა საფრთხეს თვალი მოუხუჭეს, „მამულიშვილებმა“, სიტყვით პატრიოტებმა მამულის ძარცვა დაიწყეს, მტრისთვის დასამიზნებელი იარაღი მოყვარეს მიუბრუნეს. ქართველთა სახლები და ქართული გზები გადააქციეს ბრძოლის ველად, ჯარისკაცი სარდალს არ ემორჩილება, სარდალს იარაღი არ ჰყოფნის ჯარისათვის და აგებს ქვეყანა დიდ ომს.

არადა, საქართველოს მთელი მომავალი ამ ომზეა დამოკიდებული, ჩვენ იგი უნდა მოვიგოთ. ომის მოგება კი ძლიერი, ჭკვიანი მთავარსარდლის გარეშე შეუძლებელია. ასეთ მთავარსარდლად უნდა იქცეს საქართველოს პარლამენტი, და იქცევა კიდეც, თუ 11 ოქტომბერს პასუხისმგებლობით აღსავსე მივალთ საარჩევნო ყუთთან, თუ ბიულეტენის შევსებამდე კიდევ ერთხელ დავფიქრდებით იმაზე, რომ არჩევანის დროს ხარკი მეზობლობას, ნათესაობას ან გულუხვ დაპირებებს კი არ გადავუხადოთ, არამედ საკუთარ სინდისს და ერის ინტერესებს. კარგად ავწონ-დავწონოთ ყველაფერი, თითოეული კანდიდატურა, პარტიებისა და ბლოკების შესაძლებლობანი, ავირჩიოთ პარლამენტი, რომელიც ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, იარაღიან კაცს ბრძოლის ველზე გაუშვებს, პოლიტიკოსს პოლიტიკურ ასპარეზს მოუძებნის, ბიზნესმენს ბიზნესის საშუალებას მისცემს, მუშას დაზგასთან დააყენებს, ხოლო გლეხს მიწასთან დააკავშირებს.

ჩვენი გადარჩენა ჩვენს ხელთაა. 11 ოქტომბერი ან გადაგვარჩენს და ან, თუ ფრთხილად არ ვიქნებით, საბოლოოდ დაგვღუპავს.

11 ოქტომბერს გამოჩნდება ვინა ვართ ჩვენ—თავისუფალი ქართველები თუ სისხლგაწყალებული, მშიშარა მონები.

ღმერთი ფარავდეს სრულიად საქართველოს.

## გადავარჩინოთ საქართველო

### მიტინგი ცაგერში

7 ოქტომბერს სარაიონო კულტურის სახლში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი მიძღვნილი აფხაზეთში შექმნილი ვითარებისადმი.

ინფორმაცია გააკეთა ცაგერის რაიონის საკრებულოს გამგებელმა აკაკი პირველმა.

გაგრაში, ლესელიძესა და განთიადში დატრიალებულ ტრაგედიაზე მიტინგის მონაწილეებს ესაუბრნენ ლესელიძეში მცხოვრები (ლეჩხუმელები), ამ ბრძოლების მონაწილე ძმები მერაბ და როსტომ ჯუმბერის ძე ხეცურიანები. გადამთიელი ურჯულოებისა და აფხაზი სეპარატისტების ვანდალური მოქმედებით აღშფოთებულებმა მოუწოდეს მიტინგის მონაწილეებს ლეჩხუმში შეიქმნას საბრძოლო ბატალიონი, რეზერვისტები და ყველა, ვისაც შეუძლია იარაღის ხელში დაჭერა და გამოყენება, უნდა წავიდეს სამშობლოს დასაცავად.

მიტინგზე გამოვიდნენ რაისაავადმყოფოს მთავარი ექიმი მურმან თოთაძე, რაიონის სამხედრო განყოფილების უფროსის მოადგილე მუხრან ბერიძე, რაიონის პროკურორი დარეჯან სილაგაძე (მან ივალდებულა თავდაცვის ფონდში ჩარიცხოს 10 ათასი მანეთი), რაისაავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგე ალუდა ზურაბიანი. რაიონის სამხედრო განყოფილების უფროსი ხვიჩა ფუტკარაძე, ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ლევან ჩიქოვანი, რაიონული გაზეთის „ლეჩხუმის“ პასუხისმგებელი მდივანი ია ხმელიძე. (მან თავდაცვის ფონდს საჯაროდ შესწირა ოქროს ყელსაკიდი).

ომის ვეტერანმა კოსტა სილაგაძემ ჩხუტელის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ზაზა ჩიქოვანმა, „მხედრიონის“ წევრმა სერგო შკუბულიანმა, რაიონული საკრებულოს გამგეობის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიული განყოფილების გამგემ გულვერ ბრეგვაძემ და სხვებმა იქვე გამოთქვეს ომში წასვლისთვის მზადყოფნა.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა ლეჩხუმელი მშრომელებისადმი.

## მიტინგის მონაწილეთა მიმართვა

ძვირფასო მეგობრებო! ცაგერის რაიონის მშრომელები აღშფოთებულია აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობით, გმობენ აღვირახსნილი კოალიციური ძალების მოქმედებას რის შედეგად იღუპება უდანაშაულო ადამიანები. მათ შორის, რაც ყველაზე მეტად აღმაშფოთებელია, ქალები, მოხუცები და ბავშვები.

ქართველი ხალხი არ დაუშვებს თუნდაც ერთი გოჯი ქართული მიწის მოწყვეტას. მიღებულია ზომები ეროვნული ჯარის გააქტიურების. ათასობით მოხალისე დგება სამშობლოს დამცველთა რიგებში.

ყოველივე ეს გვავალდებულებს ჩვენი წვლილი შევიტანოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში, საერთო ეროვნული საჯარისო ფორმირების შექმნასა და მისი ძლიერების განმტკიცებაში.

მოვუწოდებთ ლეჩხუმელებს, ჩაეწერონ ეროვნულ საჯარისო ფორმირებაში, ყველამ თავისი შესაძლებლობის ფარგლებში შევიტანოთ წვლილი ეროვნული არმიისათვის ფულადი და მატერიალური დახმარების საქმეში.

ყურადღება გამოვიჩინოთ აფხაზეთიდან ლტოლვილების მიღებისა და მათთვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის.

ძვირფასო ლეჩხუმელებო! აფხაზი სეპარატისტების გააქტიურება და საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში ვაი ქართველების მიერ გახშირებული დივერსიული შედეგები იმითაც არის გამოწვეული, რომ მტრებს სურთ საქართველოში შენარჩუნებული იქნეს დესტაბილიზაცია და არ მოხერხდეს 11 ოქტომბრის რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების ჩატარება.

მიტინგის სახელით მოგიწოდებთ ყველა ლეჩხუმელს გამოვიჩინოთ სიბრძნე, ურთიერთთანადგომა, რათა შევძლოთ 11 ოქტომბრის არჩევნების ნორმალურად ჩატარება, რამეთუ ჩვენი ხსნა თვით ამ არჩევნების შედეგითაა განპირობებული.

**მიტინგის მონაწილენი.**

ქ. ცაგერი, 1992 წლის 7 ოქტომბერი.

## საოლქო საარჩევნო კომისიისაგან

საქართველოს პარლამენტის არჩევნების ადგილობრივი დეპუტატობის კანდიდატის რუბენ ევგენის ძე ბაქრაძის კანდიდატურა მოხსნილია არჩევნებიდან მისი პირადი განცხადების საფუძველზე. ამდენად ბიულეტენის შევსების დროს მხედველობაში არ მიიღება მისი კანდიდატურა.

## ქართველები აფხაზეთში მშობელ მიწას იცავენ

ახლა აფხაზეთში, საქართველოს გამორჩეულ და ულამაზეს მხარეში, სისხლი იღვრება, აბორგებული და მტრად ქცეულა ქართველთა სისხლით ნათესავი აფხაზი ერი, საობედუროდ თვალ-ყურ ახშულებს. აფხაზი სეპარატისტების დემაგოგიური იდეებით გაბრუებულებს საომრად გადამთიელებიც მოუწვევიათ, და უძველესი ქართული ძეგლებით დაფარული ცხუმის მიწა-წყალი კავკასიის მთიელთა კონფედერაციის ბანდიტური ჯგუფების თავშესაფრად და სათარეშოდ გაუხდიათ. რა სურთ აფხაზებს? თავისად დაისაკუთრონ ის, რაც მხოლოდ მათ არ ეკუთვნით, არადა აფხაზეთი ყოველთვის იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ქრისტიანული და სისხლხორცეულად ქართული. ამიტომაც არის აბსურდული აფხაზ ლიდერთა ზრახვების განხორციელება. სამწუხაროდ, ისინი თავიანთი იდეების ფრთების შესხმას მარტო ახლა კი არა, სხვა დროშიც შეეცადნენ, მაგრამ მათ სურვილს, რეალურად ექცათ არარეალური, წინ აღუდგა ქართველი ერი, ასე იყო ათეული წლის წინ, ასე იყო 1989 წლის ივლისში...

და ისევ, ამჟამად ე. წ. კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის შეიარაღებული რაზმების იმედით მოსილნი, აგრესორებს უწოდებენ მშობლიური მიწა-წყლის ერთიანობის დასაცავად მებრძოლ ქართულ ეროვნულ არმიას, და უსირცხვილოდ აცხადებენ თავიანთ თავს ქართველებისაგან დაჩაგრულად მაშინ, როდესაც მცირერიცხოვანი აფხაზები თვალშისაცემ უპირატესობებს ფლობდნენ, გათამამებულები თრგუნავდნენ ჩვენს ენას, სარწმუნოებას...

(დასასრული მე-2 გვერდზე).

სკოლა და დრო

# იმედით ვცოცხლობთ

ქვეყანაში მშფოთვარე პოლიტიკური გრიგალები ულმობლად აწყდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს სასკოლო ცხოვრებაზე, რის გამოც სკოლაც დამცავი მექანიზმის გარეშე დარჩა, ქვეყნის მომავალი აშკარად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმები აუისმაუწყებლად დაეხლართა უმწვავეს ეთნოკრიზისებს და ქვეყანა აშკარა საომარ მდგომარეობაში ჩააყენა, იღვრება სისხლი, ობლდებიან ბავშვები, კვნესიან წყვილები, ძაძებით იმოსება ოჯახები, ყველაფერთან ერთად ინგრევა სკოლებიც, ქვეყანა აშკარად შიმშილისა და სიშიშვლის ზღვარზეა მისული. უბედურება ის არის, რომ ამ ულმობელ დროს სკოლისათვის აღარავის სცალია.

მომრავლებული პოლიტიკური პარტიები, თავს რომ ერის მფარველ ანგელოზებად აცხადებენ, საქართველოსათვის არ ერთიანდებიან და ამდენ ყალბ ალერსში ლამის ხელში შემოაკვდეთ გაწამებული საქართველო. სწორედ ასეთ მკაცრსა და სწრაფად ცვალებად პირობებში მოგვიხდა სასწავლო წლის დაწყება. ეს ყველაზე რთულია თუნდაც იმიტომ, რომ სკოლის ისტორიაში სახელმწიფომ სკოლა პირველად ვერ უზრუნველყო საკლასო ჟურნალებით, რომ არაფერი ვთქვათ სასწავლო პროგრამებზე, სტაბილურ სახელმძღვანელოებზე, რვეულებსა და სხვა აუცილებელზე. გაძვირდა ყველაფერი, რასაც საბავშვო და სასწავლო საშუალება ჰქვია, ჩვენ კი ვდგავართ და თვალები მოგვექცა უკან ყურებით, ვეწევით ყველაზე იოლსა და იაფფასიან საქმეს — ვიღაცას გადავაბრალოთ ქვეყნის ამ დღეში ჩაგდება.

უმწვავესმა დეფიციტებმა ყველაფერი შეცვალა და ქვეყნად აუარებელი პრობლემა დააგროვა, მაგრამ არ არსებობს უფრო ძალუმი პრობლემა, ქვეყნის გადარჩენის გარდა, ვიდრე ზრუნვა სკოლაზე, ქვეყნის მომავალზე, მის ხვალინდელ დღეზე. თუ ვინმეს საქართველო თავისთვის, კი არა საქართველოსათვის და ქართველებისათვის უნდა, ზრუნვის მთელი სიმძიმე სკოლაზე უნდა გადაიტანოს, სხვა გზით აღთქმულ ტაძართან ვერ მივალთ. სკოლას გააჩნია პრობლემები, რომლის გადაწყვეტაში აუცილებელია ხელისუფლების დახმარება.

ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომელიც აუცილებლად გადასაწყვეტია, ის არის, რომ ჩვენი სკოლა ავარიულ მდგომარეობაშია. მშენებლობის დაწყებას წელს ვფიქრობდით, მაგრამ მიმდინარე მძიმე მოვლენებმა ამის საშუალება ნამდვილად არ მოგვცა.

შემდეგი პრობლემა ის არის, რომ ზამთარი მოდის და სკოლას გათბობა უნდა, მოწოდებული ორგანიზაციები ამაზე ნაკლებად ზრუნავენ. მიზეზთა მოშველიება ბავშვებს ვერ გაათბობს. ალბათ დადგება დრო და ძველი პარტოკრატიული სტილით ითქმება „როგორ აძინებდით, როგორ აძინებდით მავანს და მავანს თუ ასე იყო საქმეო". ჩვენ კიდევ ვარისხებთ საგანგაშო ზარს — ზამთარი მოდის და სკოლას გათბობა უნდა!

პრობლემად იქცა სახელმძღვანელოების შემოტანაც. ქვეყანამ გაიგო, რომ სახელმძღვანელოებს მართლაცდა სისხლის ფასი უნდა მიეცეს და ის ცოტაა თუ ბევრი, სავაჭრო ორგანიზაციებმა უნდა მოიტანონ განაწილების ზუსტი დაცვით. არ უზრუნველყოფს ამას სავაჭრო ორგანიზაცია. ნუთუ ისე დაუცველია სკოლა და იმდენა პატრონი ჰყავს დახლის მუშაკებს, რომ ჩვენ უნდა მოვიტანოთ ის მაღაზიებში? ღმერთო, დაგვიფარე ასეთი დემოკრატიისაგან! ან ვინ მისცა ე. წ. კომერციულ მაღაზიებს რვეულები და სხვა სასწავლო საშუალებანი მამასისხლად რომ ყიდიან?

მიუხედავად ასეთი სიდუხჭირისა, ქართველი ბუნებით მაინც ოპტიმისტია და იმედით ცოცხლობს, რასაც ღვთაებრივმა აკაკიმ ღვთის ნიჭი უწოდა. წყვდიადიდან იმედის სხივის გამოშუქება იყო, რომ აღსდგა ტრადიციული პირველი სექტემბერი (მაგრამ ვაი, რომ ეს არ მო[illegible] ველში მოქცეული სკოლისათვის). [illegible] რესპუბლიკის ხელისუფლების ენერგიული ღონისძიებანი საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარებისა და ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნების საქმეში, რასაც ბევრისმნახველი და საუკუნოვანი, დიდი ტრადიციების მქონე ლაილაშის საშუალო სკოლა მაღალ ორგანიზებულ დისციპლინას დაუკავშირებს.

ჩვენ დიდი იმედით ველოდებით მომავალ არჩევნებს, რაზედაც დამოკიდებულია საქართველოს მომავალი. ღმერთმა ინებოს, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს გამარჯვებოდეს ამ ძნელად სავალ გზაზე, ხოლო ჩვენს მიერ გაწეული გულწრფელი შრომა, მოკრძალებული წვლილი ახალი საქართველოს მშენებლობაში განსახიერდება ახალგაზრდობის ცოდნაში, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულსა და თავდადებაში.

**ნ. მესხაძე,**
ლაილაშის საშუალო სკოლის დირექტორი.

# ქართველები აფხაზეთში მეომბელ მიწას იცავენ

(დასასრული).

ორი თვეა გულს გვიწვავს აფხაზეთში მიმდინარე სისხლისღვრა, ორი თვეა ველით, იქნებ მშვიდობიანი, ცივილიზებული ფორმებით მივაღწიოთ ომის შეწყვეტას. თურმე ამაოდ.

პირველ-ორ ოქტომბერს გაგრაში და მის შემოგარენში დატრიალებულმა ტრაგედიამ ცხადყო, არ შეიძლება მოლაპარაკების მშვიდობიანი გზა ირჩიო მასთან, ვისაც სისხლისღვრა სწყურია, ვისაც შეუძლია დაგეგმოს და განახორციელოს მშვიდობიანი მოქალაქეების ძარცვა და აწიოკება იმ ფაშისტური ხერხებით, რომლის მოწმეც დღეს აფხაზეთის ქართველობაა, ის დღეები და მათი პატარები, რომელთა თვალებიდან, სამწუხაროდ, არასოდეს არ გაქრება ცეცხლის ალში გახვეულ შენობათა კონტურები. ბევრი მათგანის მუდმივი თანამგზავრი იქნება ცრემლი და გულში სამუდამოდ დაგუბებული სევდა.

ომს უსასტიკესი კანონები აქვს — კვდებიან და იჭრებიან, ლტოლვილის მწარე ბედს იზიარებენ ადგილობრივი ქართველები.

არაერთმა ქართულმა ოჯახმა მოაშურა აფხაზეთიდან ლეჩხუმს. უახლოეს ნათესავებთან, ახლობელ-მეგობრებთან თავშეფარებულები ცრემლით იგონებენ გადატანილ დღეებს. ძნელია აღწერო მათი განცდილი და მათგან გაგონილი, ყველაფერი მხურვალე, პირშეუკრავ ჭრილობას ჰგავს... უსუსურია იმედიანი სიტყვები, მაშინ, როცა კაცი ტოვებს საკუთარ სახლ-კარს, თაობათა ნაშრომს და ნაჯაფარს და არ იცის, რა მოელის მათ, როცა თვალწინ უწვავენ სახლ-კარს, როცა საკუთარ ეზოს ახლობელთა სასაფლაოდ გაუხდიან, როცა ომის ქარცეცხლში გამწარებული ეძებს დაფანტულ შვილებს, როცა ძარცვავენ, შეურაცხყოფენ, ზნეობრივად ანადგურებენ... და მაინც კაცნი ვართ და იმედით ვცოცხლობთ, გვეიმედება ჩვენი ქართველობა — საუკუნეების ქარცეცხლში გამოვლილი, გვეიმედება ჩვენს მხარეს არსებული ძლიერი სიმართლე — ჩვენ ხომ მშობლიურ მიწა-წყალს ვიცავთ.

როგორც ყველა ომს, ამ ომსაც ექნება დასასრული, მაგრამ არასოდეს არ დასრულდება მისგან მიყენებული ტკივილების შეგრძნება, ისტორია აფხაზეთის ომის მესვეურებს მხოლოდ მეოცე საუკუნის თემურლენგებად მოიხსენიებს, აფხაზეთი კი მუდამ იქნება საქართველოს განუყოფელი ნაწილი.

**ლ. ცხვედიანი.**

# აცრემლებულო საქართველოვ, დედავ ტანჯულო!

არ ვიცი, რა ვთქვა, თითქმის აღარაფერი დარჩა სათქმელი.

საქართველოს ოდითგან ასეთი წარსული ჰქონია, საქართველოს ბედკრული ხვედრი...

დღეს წინაპრების აჩრდილები იღვიძებენ ასე მგონია, დღეს ძველისძველი ციხეები ინგრევიან და ეს დამსხვრეული ლოდების გოდებაა, ასე მგონია, ყრუდ რომ გმინავენ განწირულნი, რომ აღიგავონ მიწისაგან პირისა.

მოასვენებენ ჩამოცლილ სხივებს, მზეს დააკლდება სიმხურვალე; გაციებული გულები ისევ, ასე მგონია, ისევ ფეთქავენ. საქართველოსთვის რა დააძინებს, საქართველოსთვის რა გაათენებს, მზე დაილევა, აღარ იფრენენ მტრედები ისევ, აღარ დახატავს ბავშვი სარკმელზე თეთრ მტრედებს ისევ.

განა ამისათვის ვლოცულობდით და დავიხარჯეთ, და დავილიეთ, როგორც სანთლები. ანგელოზები იჩოქებენ ხატის წინაშე.

მოედინება ოდითგანვე
სისხლის მდინარე,
ანგელოზები იჩოქებენ ხატის
წინაშე.
ქართველთა სისხლში
განბანილი მტერი ურიცხვი,
დაგვხორხოცებდა, ყვავებივით
თავს დაგვჩხაოდა,
იწერებოდა ოდეს სისხლით
მატიანე საქართველოსი,
ილეწებოდნენ ციხეები და
ქალაქები
შეურიგებლად შენდებოდნენ
და მთელდებოდა.

მინდვრად გაშლილი ყვავილები, სისხლისფერი და ლამაზები ციხის კედლებზე რომ იშლებიან, ვინ იცის ერთ დროს დაჩეხილ ქართველებს დედის მაგივრად დაიტირებენ.

ისევ ყვავიან ეს ყვავილები, ისევ დაცლილა ქართველის დედა ცრემლისაგან. ისევ...

ხვედრი ყოფილა საქართველოს, ბედკრული ხვედრი, წამებით ევლო საუკუნეთ გრძელ შარაგზაზე. მარად ყვაოდეს სისხლისფერი ყვავილნი ველთა...

სანთლის წინ ხატებთან ლოცულობს დედა მუხლებზე დაცემული, და ძრწიან აჩრდილები, და მარადის უკუნეთს შერეული ისმის ძახილი, ძახილი შორეული.

**მთვარისა ბენდელიანი.**

# საოლქო-საარჩევნო კომისია: არჩევნები ჩატარდება

საქართველოს ასეთი ძნელბედობის ჟამი იშვიათად ჰქონია. ომის ცეცხლშია გახვეული ქვეყანა. არადა არჩევნები უნდა ჩატარდეს — ესაა ერთადერთი გამოსავალი, რომ საქართველოს ლეგიტიმურმა მთავრობამ იფიქროს ერისა და ქვეყნის გადარჩენაზე, მის მომავალზე.

გუშინ შევხვდით საქართველოს პარლამენტის არჩევნების ცაგერის № 45 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს გელა პორფილეს ძე ხვადაგიანს და რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**— რა სიტუაციაა რაიონში არჩევნების წინა დღეებში, გვაქვს თუ არა გარანტია, რომ ლეჩხუმელები ნორმალურ ვითარებაში გამოხატავენ თავიანთ მოქალაქეობრივ ნებას, როგორია ამომრჩეველთა პოლიტიკური, ფსიქოლოგიური განწყობა?**

— საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა გასაგებია ყველასთვის. ასეთ პირობებში აუცილებელია ქვეყანას ჰყავდეს კანონიერი მთავრობა. ამიტომ მგონია, არჩევნები ყოველგვარ პირობებში უნდა ჩატარდეს. თუ არჩევნები არ ჩატარდა, ერი დაიღუპება, ამიტომ ყველა მოქალაქის მოვალეობად მიმაჩნია იზრუნოს ქვეყნის სიკეთისათვის და მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, არაა ლაპარაკი იმაზე, ვის მისცემს ხმას, ვინც უარს იტყვის არჩევნებში მონაწილეობაზე, ჩემის აზრით, იგი ერის მოღალატეა.

რაც შეეხება ჩვენს რაიონს, არჩევნებისათვის მზადება ნორმალურად მიმდინარეობს. რაიმე დაბრკოლებას, დაწოლას, ექსცესებს ადგილი არ ჰქონია.

**თუ ფლობთ რა მდგომარეობაა საარჩევნო უბნებში. კომისია დაინტერესდა თუ არა ადგილებზე გასვლით?**

— თითქმის ყველა უბანში პირადად გახლდით, იყვნენ კომისიის წევრებიც. ყველგან არჩევნებისათვის მზადყოფნის ნორმალური მდგომარეობაა.

**— და მაინც ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ გამორიცხული არაფერია. არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისათვის, წესრიგის უზრუნველსაყოფად იმისათვის, რომ არ მოხდეს ამომრჩეველთა ნებაზე ძალდატანების, ფალსიფიკაციისა თუ სხვა ამგვარის მცდელობა, რა კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებს კომისია?**

— გაფრთხილებულია ყველა ადგილობრივი საკრებულო, რომ უბნებში იყოს წესრიგი, ამაზე პასუხს აგებენ საარჩევნო კომისიები და სამართალდამცავი ორგანოები.

დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატები და პარტიები ნიშნავენ მეთვალყურეებს თავიანთი სურვილისა და შეხედულებისამებრ. მეთვალყურის უფლება აქვთ აგრეთვე პრესის წარმომადგენლებს, დეპუტატობის კანდიდატების ნდობით აღჭურვილ პირებს და პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირის მიერ დანიშნულ მეთვალყურეს, რომელთაც ჩვენ რეგისტრაციაში ვატარებთ და ვაძლევთ არჩევნების მეთვალყურის სათანადო მოწმობას.

* * *

არჩევნების ნორმალური ჩატარება მოგველოცოს ერთმანეთისთვის, ძვირფასო ამომრჩევლებო!

# ვისაც საქართველოსთვის გული შეგვტკივა...

ძვირფასო ამომრჩევლებო! ახლა წყდება საქართველოს ბედი და უბედობა. 11 ოქტომბერმა უნდა გვიჩვენოს დავიღუპებით, თუ გადავრჩებით.

დღევანდელი საქართველოს ხელისუფლება უკანონო ხელისუფლებაა. ამიტომ იგი სრულყოფილად ვერ ახორციელებს ქვეყნის მართვის ღონისძიებებს. 11 ოქტომბერს არჩეული კანონიერი მთავრობა მოაწესრიგებს შინა არეულობას, დააწყნარებს ქვეყანას, წაიყვანს მას აღმავლობის გზით. საშუალებას მისცემს დასავლეთის ქვეყნებს უკეთ დაეხმარონ მას. ყველამ კარგად უნდა გავიცნობიეროთ ახლანდელი არჩევნების მნიშვნელობა და ყოველმხრივ შევუწყოთ მას ხელი.

თუ არჩევნები არ ჩატარდა, საქართველოში შეიქმნება ისეთი ქაოსი და განუკითხაობა, რომ დღევანდელი მდგომარეობა სანატრელი იქნება და ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში წელში ვერ გაიმართება.

უჭირს, ძალიან უჭირს ახლა საქართველოს. მტერმა თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა. ზვიად გამსახურდიას მომხრეებს შური აღრჩობთ, ბუდედანგრეულ კრაზანებივით იბინებიან და ყოველნაირად ცდილობენ ჩაშალონ არჩევნები, დესტაბილიზაცია შეიტანონ ქვეყნის ცხოვრებაში.

დიდი მოფიქრება გვმართებს ვინ უნდა ავირჩიოთ, ვინ არის ამ დიდი პატივის ღირსი, პარლამენტის წევრი სახელმწიფო მოღვაწეა და მისთვის, პირველ რიგში, დამახასიათებელი უნდა იყოს პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა. კარგად უნდა მოვიფიქროთ, ყოველმხრივ უნდა ავწონ-დავწონოთ, ვის მივცემთ ხმას, ვინ უკეთ გაამართლებს პარლამენტის წევრის მაღალ წოდებას, ეს იოლი საქმე არ არის. შეცდომის დაშვების უფლება კი არ გვაქვს. წინა არჩევნებზე შევცდით, უღირსი პირები ავირჩიეთ და ამის უარყოფით შედეგებს ახლა ვიმკით.

საქართველოს დიდი ხელმძღვანელი ჰყავს ამჟამად. ახლა ედუარდ შევარდნაძეა ის ქართველი, რომელსაც შეუძლია გამოიყვანოს ქვეყანა ქაოსური მდგომარეობიდან და გადაარჩინოს დაღუპვას. ამიტომ ეჭვი არ არის, რომ რაიონის ამომრჩევლები ერთსულოვნად მისცემენ მას ხმას.

არჩევნები დამამთავრებელ ფაზაში შევიდა. ტელევიზია, რადიო, პრესა ფართოდ აშუქებს არჩევნებისათვის მზადებას. პოლიტიკური პარტიები გაცხარებით კამათობენ, დეპუტატობის კანდიდატები ხვდებიან თავიანთ ამომრჩევლებს.

ომისა და შრომის ვეტერანებს შეუძლიათ ბევრი სიკეთე მოუტანონ თავიანთ სამშობლოს. მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ არჩევნებში, მხარი დაუჭირონ ღირსეულ კანდიდატებს, თავიანთი მდიდარი გამოცდილება და გავლენა გამოიყენონ მათ ასარჩევად.

ვისაც გული შესტკივა საქართველოსთვის, ვისაც სურს იხილოს ჩვენი სამშობლო მდიდარი და ბედნიერი, იგი უყოყმანოდ გამოცხადდება 11 ოქტომბერს არჩევნებზე და ხმას მისცემს თავის რჩეულებს.

**ლევან ჩიქოვანი,**
განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგე, ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

## შეხვედრები გრძელდება

მოახლოვდა საქართველოს პარლამენტის არჩევნები, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ქვეყნის ბედი.

პარლამენტის არჩევნების დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატების შეხვედრები ამომრჩევლებთან გრძელდება. ასეთი შეხვედრები გაიმართა ალპანაში, წიფერჩში, ლასურიაში.

დეპუტატობის კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამასა და პლატფორმას გულისყურით ეცნობიან ამომრჩევლები.

თითოეული შეხვედრა განმსჭვალულია ერთი უმთავრესი მიზნით — არჩევნები უნდა ჩატარდეს, ქართველმა ხალხმა უნდა გამოხატოს თავისი ნება, აირჩიოს პარლამენტი, რომელიც დასახავს ქვეყნის გადარჩენის ოპტიმალურ გზებს.

...სიმინდის ყანებიც ბარაქიანია. პირველ რიგში, აქ სიმინდის მოსავალს იღებენ. ყურძენი კი ჯერჯერობით არაა დასაკრეფი. უამინდობამ რთველი ლეჩხუმში დააგვიანა. უხვ მოსავალს იწევენ ჭარმაგი, დიდი შრომითი გამოცდილების მქონე ადამიანები — ლაჯანლები გრიშა გოდერიძე, ბორის თოთაძე, ამბროსი, გრიშა მახარობლიძეები, გურამ ხეცურიანი, შალვა მანჯგაძე, სპათაგორელი კოლია გიორგობიანი, ლაცორიელები შარდენ აბაშიძე, დავით ახვლედიანი, ჯუმბერ კიბაბიძე,

მტერს პასუხის გაცემა უნდა, ქართულ გვარდიას საკვები და თბილი ტანსაცმელი სჭირდება, აფხაზეთიდან ლეჩხუმში ჩამოსულ ლტოლვილებს — გამასპინძლება და მზრუნველობა.

კეთილსინდისიერი, ნამდვილი ქართველი, ადამიანური სულისა და გულის გლეხკაცი თავს ვერასოდეს იგრძნობს ბედნიერად, თუ ქვეყანასაც უჭირს და მოძმესაც. და ისიც მზადაა თავისი ნაშრომი დღევანდელობით შეჭირვებულს ალალად უწილადოს.

**დ. მახაროზლიძე,**

...დაამტკიცებს საქართველოს ... საქართველოს რესპუბლი... პრეზიდენტი.

## 7 ბედნიე...

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ნათქვამია. გაჭირდა ცხოვრება და იმატა ნახშვ-ნათესმა ფართობებმა, კარგად მოვლილმა ბაღ-ვენახებმა. მოსავალიც აფასებს გლეხკაცის გარჯას. ახლა ალარავის უკვირს 2-3 ტარიანი სიმინდი ყანაში.

## ...ური წყაროდან

იმითაც, რომ მწყობრიდანაა გამოსული ელექტროენერგიის ძირითადი გადამცემი ხაზები, რაც ქმნის შეფერხებებს როგორც...

## ელექტროენერგია

საქმეში.

როგორც ლაჯანურჰესის დირექტორმა ბ-ნმა დავით ... უნდა, რაიონის მოსახლეობა და წარმოება-ორგანიზაციების ხელმძღვანელები ანგარიშს ...

# რჩება პირველი მოთხოვნილების სურსათ-საქონელი მაინც?

ქვეყანაში შექმნილმა დაძაბულობამ, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სიძნელეებმა, ფულის კურსისა და სამეურნეო მექანიზმის მოშლამ, განუკითხაობამ, საომარმა მდგომარეობამ საგონებელში ჩაგვაგდო. დაილალნენ ადამიანები და მაინც ვიდრე ცოცხალი ვართ საარსებო მინიმალური ყოფა გვჭირდება. კატასტროფულად გაზრდილ ფასებს სრულიად არ შეესაბამება მშრომელთა უმრავლესობის საოჯახო ბიუჯეტი, ამ დროს კი არიან სახელმწიფო უწყება-სფეროები, რომლებმაც ხელი და გულისხმიერება უნდა შეაშველონ შეჭირვებულ მოსახლეობას, ელემენტარულად, პირველი მოთხოვნილების სურსათ-საქონელი მაინც მიაწოდონ შედარებით ხელმისაწვდომ ფასებში.

რედაქციაში უამრავი შეკითხვა და სიგნალი შემოდის. აინტერესებთ რას გვპირდება რაიკოოპერატივის ახალი ხელმძღვანელობა, კომერციული ფასების საწინააღმდეგოდ გვთავაზობს თუ არა რაიმე შეღავათებს. ნავთი, საპონი, შაქარი, პური — საარსებო მნიშვნელობისაა, იქნება თუ არა ქსელში პირველი მოთხოვნილების ეს საქონელი, შედარებით დაბალ ფასებში და რა მოგველის საერთოდ.

### რამდენიმე კითხვა რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს **ბახვა სალინაძეს:**

**ვინ ადგენს რაიონის მაღაზიებში შემოსული საქონლის ფასებს? არის თუ არა და რა ღირს სარეალიზაციო პურის ფქვილი?**

ფასები სახელმწიფოს მიერ დადგენილია მხოლოდ პურის ფქვილზე. დანარჩენ საქონელზე ფასები ირკვევა მომწოდებლის მიერ საქონლის მოწოდების შემდეგ. მოწოდებულ საქონელს, რომელზედაც მომწოდებლის მიერ არ არის მოცემული სავაჭრო დათმობა (ასეთია მოწოდებული საქონლის უმრავლესობა), რაიკოოპერატივი არიცხავს 25 პროცენტამდე შემოზიდვასა და რეალიზაციაზე გაწეული ხარჯების დასაფარავად. აქედან რაიონის ბიუჯეტში ირიცხება 21,8 პროცენტი.

რაიკოოპერატივს სარეალიზაციო ფქვილი არ აქვს და არც ექნება. გვაქვს პურის ფქვილის ორი ფონდი: ცხობის და ცხობის მაგიერი გაყიდვის, ეს ფქვილი ეძლევათ სოფლებს, რომლებსაც არ ემსახურება პურის საცხობი.

**ზამთარი მოახლოვდა, რაიონის მაღაზიებში არ არის პურის ფქვილი, ნავთი, ასანთი, საპონი... რას აპირებთ საამისოდ?**

ზამთრის მარაგისათვის მესამე კვარტალში პურის ფქვილი უნდა შემოიზიდოს 150 ტონა. აქედან თეთრი და რუხი 120 ტონა, ცეხვილი (შავი) 30 ტონა. მეოთხე კვარტალში უნდა შემოიზიდოს 240 ტონა. ეს ფქვილი შეტანილი იქნება იმ სოფლებში, სადაც ზამთრის პერიოდში იკეტება გზები.

ჯერჯერობით სხვადასხვა მოსაზრებებით გამოყოფილი ნავთის მარაგის შემოზიდვა არ დაგვიწყია. ზამთრის მარაგისათვის გამოყოფილი გვაქვს 100 ტონა ნავთი. სარეალიზაციოდ კიდევ — 100 ტონა. ზამთრის მარაგში უნდა ჩაიდოს აგრეთვე გარკვეული რაოდენობის ასანთი, საპონი, კრუპეული და სხვა საქონელი, რომელიც გამოყოფილი გვაქვს თბილისის უნივერსალური ბაზიდან და სხვა ბაზებიდან, რომელთა შემოზიდვა ჯერჯერობით ვერ დავიწყეთ საწვავის უქონლობის გამო.

**რა ღირს ლიტრი ნავთი?**

ცეკავშირის ხელმძღვანელობის სიტყვიერი განმარტებით ლიტრი ნავთი ეღირება დაახლოებით 10 მანეთი. ნავთის, საპონის, ასანთისა და სხვა საქონლის ზუსტი ფასები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დადგენილი იქნება ბაზიდან შემოტანის შემდგომ.

**რა პერსპექტივებია ვაჭრობაში?**

ვერ დავფარავთ, რომ მრავალი პრობლემა, ბევრი გასაჭირი გვაქვს, მაგრამ გვაიმედებს ის, რომ გვპირდებიან გამოყოფილის ზევით მოგვცენ პურის ფქვილი, შაქარი, ნავთი, საპონი და ასანთიც შეიძლება დაგვიმატონ. ვთხოვთ სოფლის საკრებულოების გამგეობებს დაგვეხმარონ საქონლის შემოტანასა და განაწილებაში.

მოახლოვდა საქართველოს პარლამენტის არჩევნები ... ქართველი ხალხი ამ დღეს იმედის თვალით მოელის.

ლაილაშის რეგიონში, ხოფლის საკრებულოს ტერიტორიაზე — გვითხრა საკრებულოს გამგებელმა **ალეკო თვარაძემ**, — სამი საარჩევნო უბანია: ლაილაშის, თაბორის და სურმუშის საარჩევნო უბნებში დროულად დაიწყო საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის მზადება. თვალსაჩინო ადგილზეა ამომრჩეველთა სიები. ამომრჩევლები ამ

## საკრებულო არჩევნების წინ

დღეებში შევხვდით პარლამენტის დეპუტატობის ადგილობრივ კანდიდატებს.

ლაილაშის რეგიონში ბევრი ... პრობლემაა მოსაგვარებელი. მართალია მოსახლეობის დიდ ნაწილს უჭირს, მაგრამ ამის მიუხედავად, ყველა მოითხოვს არჩევნების აუცილებელ ჩატარებას. მათი მიაჩნიათ, უფრო ადრე რომ ჩატარებულიყო არჩევნები და გვყოლოდა კანონიერი ხელისუფლება, ბევრი პრობლემა მოხსნილი იქნებოდა.

ერთი თვეა ლაილაშის პურსაცხობი არ მუშაობს (დროის უქონლობის გამო) და ცხობის ფქვილი მიეყიდა მოსახლეობას. ამჟამად თაბორსა და ლაილაშში პურის ფქვილი არ არის. სოფელ სურმუშის მცხოვრებლებს 3 თვეა კუთვნილი პურის ფქვილი არ მიუღიათ.

ლაილაშის რეგიონში საკმაოდ არის თესლოვანი ხილი, მაგრამ იმის გამო, რომ მოსახლეობას ხილის შარშანდელი ფასი დღესაც მიუღებელი აქვს, უკმაყოფილონი არიან. აბარებენ მეაბრეშუმეთა უკმაყოფილება შექმნა იმან, რომ დღესაც არ მიუღიათ ჩაბარებული აბრეშუმის პარკის ღირებულება.

საკრებულომ ზამთრის თბობის სეზონისათვის მზადება დროულად დაიწყო. ცაგერის სახელმწიფო სატყეო მეურნეობას ჩაურიცხეს ლაილაშის საშუალო სკოლის, საექიმო უბნის, საბავშვო ბაღის, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის საჭირო შეშის ფასი, მაგრამ დღესდღეობით არცერთი კუბური მეტრი შეშა არ არის შეზიდული. თაბორის არასრული საშუალო სკოლის შეშით მომარაგებაზე დავალებას არავინ არ ღებულობს. სახელმწიფო და საკოლმეურნეო სატყეო მეურნეობების ხელმძღვანელები უარს აცხადებენ იმ მოტივით, კოლმეურნეობამ უნდა დაუმზადოთო შეშა. კოლმეურნეობა კი ამ დროს არ ფუნქციონირებს.

მაღაზიაში არის ასანთი, საპონი და ზოგიერთი სხვა პირველი მოთხოვნილების საქონელი, მაგრამ აწუხებთ ნავთის არ არსებობა. ავარიულ მდგომარეობაშია ლაჯანა — ლაილაშის ელექტროგადამცემი მაღალი ძაბვის ხაზი — და აუცილებლად უნდა შეკეთდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გილოცავთ

მაია ძმანაშვილს, მამუკა გვიშიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ფუძემტკიცე ოჯახის შექმნას. გფარავდეთ მაღალი ღმერთი.

გურამ გვიშიანი ოჯახით.

---

ლეილა ნემსწვერიძეს, ჟორა ჩაკვეტაძეს
ციცინო ახვლედიანს, სოსო ნემსწვერიძეს

გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთმა მრავალი ძე და ასული შეგძინოთ.

ნონა ნემსწვერიძე, მამუკა ყურაშვილი.

---

ნატო მუშკუდიანს, ჯიგული ლეთოდიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ფუძის კეთილი ანგელოზი.

თემო, მურთაზი, გრიშა, ჟუჟა კოპალიანები ოჯახებით.

---

მაია გურამის ასულ ჩაკვეტაძეს
... შაქროს ... ყე უულეჯიშვილს

გილოცავთ ბედნიერებას.

გია, გოგი, ლარისა, ჩაკვეტაძეები.

---

მაია ძმანაშვილს, მ...

გილოცავთ ბედნიერებ... რულით ფუძემტკიცე ოჯახ...

ლანა, ლელა, ლაშა ...

---

მალვინა კოპალიანს

გილოცავთ ბედნიერებას.

წიფერჩის საბავშვო ბა...

## გილოცავთ

მარო, გალაქტიონ ჭაგუჩიანებს
ლამარა, ჯაგული ასათიანებს
სულიკო, ომარ მუშკუდიანებს

გილოცავთ შვილიშვილების შეძენას.

ლასურიაშის საშუალო სკოლის კოლექტივი.

---

ლასურიაშის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს
ელზა, ნათია, ხეცურიანებს, სულხან ჯამბურიძეს,
მალხაზ სვანიძეს, ელისო კოპალიანს
ფიქრია ცხვედიანს, გესიკ კენჭაძეს

გილოცავთ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.

ლასურიაშის საშუალო სკოლის კოლექტივი.

---

ნინო, ნუგზარ გახსოლიანებს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას.

ლასურიაშის საშუალო სკოლის კოლექტივი.

---

მაია მეშველიანს

გილოცავთ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.

კომგანის თანამშრომლები.

---

ნათელა სალინაძეს, მალინა ბენდელიანს

გილოცავთ დაბადების დღეს.

კომგანის თანამშრომლები.

---

მარინე, მირზა, გოგუცა, ახმედ!

გილოცავთ ვაჟიშვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.

ტრისტან ჩხეტიანი, ბიძინა, მურმან სილაგაძეები.

---

ნონა, მამუკა ყურაშვილებს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. კვლავაც გამრავლდით.

პროფსასწავლებლის თანაკურსელები.

---

ფოთოლა, გიმარ თუთისანებს

გილოცავთ ელისოს ბედნიერებას.

წიფერჩის საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები.

---

ბელა ჭაგუჩიანს

გილოცავთ დის, ნაირას ბედნიერებას.

ლელა მიქაძე, ქეთინო სილაგაძე.

---

...ზარ ნესტორის ძე მესხაძეს

...ილოცავთ დაბადების დღეს. ...ურვებთ ჯანმრთელობას და ...ხანს სიცოცხლეს.

ლაილაშის საშუალო სკოლის IX-XI კლასების მოსწავლეები.

---

...ოთ ქვეყნის ... აქ დღემდე ... ჩაგდება.

მიზეზთა მოშველიება ბავშვებს ვერ გაათბობს. ალბათ ... წყვდიადიდან იმედის სხივის გამოშუქება იყო, რომ აღსდგა

## ...ბი აფხაზეთში მეომბელ...ებს იცავენ

...უდმივი თანამგზავრი იქნება ცრემლი და გულში სამუდამოდ დაგუბებული სევდა.

ომს უსასტიკესი კანონები აქვს — კვდებიან და იჭრებიან. ლტოლვილის მწარე ბედს იზიარებენ აღგილობრივი ქართველები.

არაერთმა ქართულმა ოჯახმა მოაშურა აფხაზეთიდან ლეჩხუმს, უახლოეს ნათესავებთან, ახლობელ-მეგობრებთან თავშეფარებულები ცრემლით იგონებენ გადატანილ დღეებს. ძნელია აღწერო მათი განცდილი და მათგან განაგონი, ყველაფერი სასაფლაოდ გაუხდიან, როცა ომის ქარცეცხლში გამწარებული ეძებს დაფანტული შვილებს, როცა ძარცვავენ, შეურაცხყოფენ, ზნეობრივად ანადგურებენ... და მაინც კაცნი ვართ და იმედით ვცოცხლობთ, გვეიმედება ჩვენი ქართველობა — საუკუნეების ქარცეცხლში გამოვლილი, გვეიმედება ჩვენს მხარეს არსებული ძლიერი სიმართლე — ჩვენ ხომ მშობლიურ მიწა-წყალს ვიცავთ.

როგორც ყველა ომს, ამ ომსაც ექნება დასასრული, მაგრამ არასოდეს არ დასრულ...

## აცრემლებულო ლოვ, დედავ ...

არ ვიცი, რა ვთქვა, თითქმის აღარაფერი დარჩა სათქმელი.

საქართველოს ოდითგან ასეთი წარსული ჰქონია, საქართველოს ბედკრული ხვედრი...

დღეს წინაპრების აჩრდილები იღვიძებენ ასე მგონია, დღეს ძველისძველი ციხეები ინგრევიან და ეს დამსხვრეულ...

---

მეუღლე რენო დავითულიანი, დედა თინა, მამა ვარლა..., ლოღელიანები, დედამთილ..., ლენა, ძმა ამბერკი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარინე ვარლამის ასული ლოღელიანი-დავითულიანი

დაკრძალვა 10 ოქტომბერ..., შაბათს, სოფ. გაგულეჩში.

---

გრიშა კვენტაძე ოჯახ... თანაუგრძნობს ლენა, რე... დავითულიანებს რძლისა ... მეუღლის

მარინე ლოღელიანი-დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

---

ლაჯანის სკოლა ინტერნატ... კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება თანამშრომლის

მარინე ლოღელიანი-დავითულიანის

გარდაცვალებას.

---

ჯემალ ცვარიანი ოჯახი... თანაუგრძნობს ბორის, ნანულ... მიქაძეებს, რენო დავითულიან...

მარინე დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

---

ლასურიაშის საშუალ... სკოლის კოლექტივი თანაუგრ... ნობს კლარა, ომარ ჭაბუკიანებ... სონას

გარდაცვალების გამო.

---

... ესია ფილიპეს ასული ხუციძე-ხივსივა.

დაკრძალვა 13 ოქტომბერს, სამშაბათს, სოფ. უსახელოში.

---

გელა, რუბენ ბენდელიანები, ანზორ კოპალიანი, მურთაზ გულბანი, ხვიჩა ფანჯავიძე, ნოდარ სილაგაძე, ვაჟა მუსელიანი, მექი ყურაშვილი, მიშა ონიანი თანაუგრძნობენ გერონტი ნემსწვერიძეს დის

მაშიკოს

გარდაცვალების გამო.

---

ნინო ბახვას ასული კოპალიანი, ლაშა ბურჯალიანი, გოგი გოლეთიანი, გელა კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნანული, ბორის მიქაძეებს რძლის

მარინე ლოღელიანის

გარდაცვალების გამო.

---

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქინვერ ბაკურაძეს დედის

ლუბა ბაკურაძის

გარდაცვალების გამო.

---

... ზურაბი, ციცინო, დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შალვა არტემის ძე მუშკუდიანი.

დაკრძალვა 13 ოქტომბერს, სამშაბათს, სოფ. ოყურეშში.

---

დოდო უჩაძე, მერი ტვილიდიანი, ლელა მიქაძე, ნინო, მარინე გიორგობიანები, მალვინა, ქეთინო სილაგაძეები, ნაზიკო ლეშკაშელი, დარეჯან ახვლედიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარინე ვარლამის ასული ლოღელიანი-დავითულიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ემზარ დავითულიანი ოჯახით თანაუგრძნობს ლენა, რენო დავითულიანებს რძლისა და მეუღლის

მარინე ლოღელიანი-დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

---

ოჯახით თანაუგრძნობს რენო დავითულიანს მეუღლის

მარინეს

გარდაცვალების გამო.

---

თანაკლასელები თანაუგრძნობენ ცინური ჩაკვეტაძეს სიძის

იური ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ჰოჭიკო პირველი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

მარინე ვარლამის ასული ლოღელიანი-დავითულიანი.

---

საგზაო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ რენო ამბროსის ძე დავითულიანს მეუღლის

მარინე ვარლამის ასული ლოღელიანი-დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ რენო, ლენა დავითულიანებს მეუღლის და რძლის

მარინე ვარლამის ასული ლოღელიანი-დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

---

მრომრეწვბანკის ცაგერის ... ნყოფილების თანამშრომლები ...ნაუგრძნობენ ნანული ...ვითულიანს რძლის

მარინე ლოღელიანის

...რდაცვალების გამო.

---

ჩხუტელის საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძნობს ნანული და ბორის მიქაძეებს რძლის

მარინე დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

---

განათლების განყოფილების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ლაჯანის სკოლა-ინტერნატის ბუღალტრის

მარინე ლოღელიანი-დავითულიანის

გარდაცვალებას.

---

საირმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ნანი ხუციძეს ბებიის

ანიჩკას

გარდაცვალების გამო.

---

ომარ მიქაძე, შურმან ჯიაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ნანული და ბორის მიქაძეებს რძლის

მარინე დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

„ლეჩხუმი" გამოდის
• ხუთშაბათს
ტირაჟი 2900 შეკვეთა №1...

ჩვენი მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56 ტელეფონები: რედაქტორის — 22-8', რედაქტორის მოადგილის — 22-85, სტამბის დირექტორის — 22-17, ხაზმწყობი საამქრო — 22-28

რედაქტორის მოადგილე მ. ძნელაძე.

ცაგერის რაიონული სტამბა.